ერი

№ 12
წელიწადი პირველი
1913

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

პარასკევი, 15 ნოემბ.
მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „Ери"
Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

ELEKTRO-THEATRE „RADIUM"
15, 16-სა და 17 ნოემბერს

I. პატე-ჟურნალი № 243

II. შავი ბურთი
3 მოქმედ. დრამა.

III. დროებითი ქვრივის ღამე
კომედია. მონაწილეობენ რუსის გამოჩენილი კომიკი კ. ა. ვარლამოვი, ტ გამოჩენილი მაცეკვარი ქალი საიმპერატორო თეატრისა ე. ა. სმირნოვისა.

დრაფი ბიბერი ტრიკო მაუდი.

პაეგზე დამუარეგული ამხანაგობა
ს. მ. პირაპოზოვი
და ბ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი
საზამთრო
საქონელი

კოტიკი ჰლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება
იაფათ
ნაჭრები.

ველვიური გენუია იდეალი ფლორა.

1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

„ერი"

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . .	7 მანეთი,
ნახევარი წლით . . .	4 მანეთი.
ერთი თვით. . . .	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . .	1 შაური,

წლიური ხელისმომწერთ გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.

მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Ери". Ивановская, д. В. Чиладзе.

ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. „Ери".

გაზ. „ერის" კანტორა ღიაა დილის 9—2 და ნაშვადღევის 5—7 საათამდი. კვირა-უქმე დღეებში დილის 8—12.

განცხადება.

გმელდება ხელისმოწერა ჟურნალ „სასოფლო გაზეთზე": 24 ამ თვეს შესრულდება ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი, მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ჟურნალისა 4 მანათი, ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერათ: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანათი 1 მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутаисъ. Селскохозяйственная школа Александру Шаращидзе.

ბ[illegible]ც თუთუნს ეხეკა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პაროსი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თამბაქოსგან, სასიამოვნო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**
თფილისში.

ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დელიბაბ"

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. — იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თამბაქოსგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსებისა, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახლედიანის მაღაზიის **უკანა განყოფილებაში, სადაც ეყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რეზიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახლოდიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვლებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უკეჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

ქალაქის თეატრი.

შაბათს, 16 ნოემბერს, სახალხო უნივერსიტეტის თეატრალური სექცია გამართავს სახალხო წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება:

ცხოვრების გმირი

დრ. 3 მოქ. კარეევისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. **მარტეოფელი, ბელკანელი, ჩ—ისა; ბ.ბ. დათიკო ჩარკვიანი,** ნემო, **ილ. ბახტაძე, გურული, კანდელაკი, გრიშა, ტეეშელაშვილი** და **სხვ.**

დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

რეჟისორი დ. ჩარკვიანი.

ქუთაისი

პირველი ვერმო- სამკურნალო- სპეციალისტი აქიმებით.

მუდმივი საფოლეგით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

კ. ა. ამაანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული.	1— 2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებია	11—12
მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12— 2
გ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½ 2

ს ა ღ ა მ ო თ.

გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის	4½—5½
გ. ა. ჭოდოშვილი—საბებია, ქალთა და შინაგ.	5½—6½

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტაციურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩეკა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგება. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

ლაბა ზესკაფონი

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმმა ბ. ა. მირაქოვმა დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

მასაჟით სამკურნალო- კაბინეტი.

მ. გალანჩევაძისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ეკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ესპრ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ საწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ეუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

დიდი ტკივილი.

ჩვენი სოფლის მცხოვრებთა ბედ-იღბალი ბოქაულისა და მაზრის უფროსის ხელშია: მათი შკოლა, მათი ეკლესია, გზები, სამეურნეო, სავაჭრო და სამრეწველო საქმეები უთუოთ ზემოხსენებულ მოხელეთა თვალყურისა და სურვილის ფარგალში უნდა ტრიალობდეს.

ქალაქის ცხოვრება მისი წვრილმანებითაც კი პოლიციმეისტრისა და გუბერნატორის სრულს დამოკიდებულებაშია, თუმცა ქალაქს, დიდიხანია თვითმართველობა აქვს, ვითომ და, მინიჭებული.

ამიტომ საკვირველი უნდა იყოს, როცა ადმინისტრაციის სფეროში ცვლილება ხდება, ჩვენი სოფელ-ქალაქის მცხოვრებნი გულის ფანცქალით ერთმანეთს ეკითხებიან, რა სასიკეთო შედეგი მოყვება ამა თუ იმ ცვლილებასაო.

ერთმანეთს ასე ვეკითხებით: ახალი მოხელე უკეთესი იქნება, თუ უარესი. მაგრამ გარანტია კი არა გვაქვს იმის, რომ კითხვის პასუხი დაახლოებით მაინც უტყუარი მივიღოთ: მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, როგორი გამოდგება იგი: შესძენს ახალი დანიშნული მოხელე რასმე კარგს ზნეობითად და ნივთიერათ იმ მხარეს, უბანს და რაიონს, სადაც იგი ინიშნება ადმინისტრატორათ, გინდა მსაჯულათ, თუ მავნებლობის მეტს არას მოუტანს; დაიმსახურებს იგი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას თვისი ყოფაქცევით და ამით სახელსა და პატივს მოუხვეჭავს იმ ერს, რომელსაც იგი ეკუთნის მოდგმით და სისხლ-ხორცით, თუ გულს გაუტეხს, შეაზიზღებს, და ავათ ახსენებიებს თვის მშობელ ერს ულირსი შვილი.

ჰეშმარიტი პასუხის გარანტია არა გვაქვს მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ არც წვრილმანი მოხელისა და არც სხვილის დანიშვნის დროს უმაღლესი მთავრობა ნაკლებათ აქცევს ყურადღებას, სამოხელო კანდიდატი რამდენათ სრულია ფიზიკური და გონებრივი სიმრთელით, აქვს თუ არა კარგი ადმინისტრატორობისა და მსაჯულობის ნიჭი, არის თუ არა კანონიერების მომხრე, აქვს თუ არა იმოდენი ზნეობითი სიმტკიცე, რო მიუდგომლათ აწარმოოს ადმინისტრაციული გამგეობა და სამართლიანი მსაჯულობა, აქვს თუ არა შესაფერი ცოდნა და განვითარება.

დიდი უმეტესობა ასეთი განწესებული კანდიდატისა ადგილის მიღებისთანავე იჩენს სრულ მოუმზადებლობას თვისი მძიმე მოვალეობის აღსრულებისთვის; აწარმოებს მართვა-გამგეობას და მსაჯულობას ან თვისი განუვითარებელი და ვიწრო მსოფლ-მხედველობის მიხედვით, ან უბადრუკი და მხოლოდ თავისთავზე და არა ქვეყნისა და საზოგადოების კეთილდღეობაზე მზრუნველი წრის გავლენით.

ამის შედეგი აშკარაა: გაივლის 9-91 წელიწადი და ასეთი ადმინისტრატორისა და მსაჯულის ნამოქმედარი თავში საცემათ უზდება როგორც მთავრობას, ისე იმ საზოგადოებას, ვის ბედ-იღბალსაც ისინი განაგებდენ ამ ხნის განმავლობაში.

ერთი მხრით საზოგადოება იტანჯება: წინსვლის მაგიერ, ზნეობითად და ნივთიერათ უკან იხევს და მეორე მხრით მთავრობასა და გაბატონებულ ერს, სახელი უტყდება და პატივი ეყრება ადგილობრივ საზოგადოების თვალში.

რუსეთის პუბლიცისტიკამ უკვე აღნიშნა ახალი კანონი მდაბიო და მაღალ ბიუროკრატთა განწესებისა და ამ კანონს „Законъ нисхоъящей прогрессіи"—დაქვეითების პროგრესია უწოდა თურმე, მინისტრების დანიშვნაც კი ამ პროგრესის კანონით წარმოებულა: კასო შვარცზე უარესიაო, ტრეპოვი პლევეზე უარესი იყო, დურნოვო ტრეპოვზე, სტოლიპინი დურნოვოზე, მაკაროვი სტოლიპინზეო და სხვ. და ყველა ისინიც კიდევ ბოლოსდაბოლოს ბრმა და ბოროტი ბედისწერის სათამაშონი გამხდარან.

რუსეთში რომ მაღალი ბიუროკრატია მოხელეების დანიშვნაში იმ სისტემას ადგეს, რასაც სხვაგან, სადაც გაბატონებულ ერსა და მოქალაქეს ჰეშმარიტი თავმოყვარეობა და კეთილგონიერება პირველ პლანზე აქვს დაყენებული, მაშინ ჩვენც სატანჯველს გადავრჩებოდით ტ მთავრობაც ქვეყნის თვალში ღირსეულ პატივისცემას დაიმსახურებდა.

მოვიყვან რამდენიმე ცნობას იმის შესახებ, თუ რა სისტემას ადგას ინგლისის უმაღლესი მთავრობა ინდოეთში გასაგზავნი ადმინისტრატორების არჩევა—დანიშვნის საქმეში.

ინდოეთის მართველებსა და ადმინისტრატორებს მთავრობა ისე არჩევს ინგლისის უმაღლესი წრიდან, როგორც თაიგულის ყვავილები ამოგრჩევია, როგორც უნივერსიტეტი და აკადემია—საპროფესორო კანდიდატებს.

ინდოეთში წასასვლელ მოხელეს პროტექცია და ნაცნობობა არ გამოადგება:

მან უნდა აიღოს ჯერ მისადები და მერე სავარჯიშო სპეციალური ეგზამენი, მერე საჭირო პრაკტიკა და გამოცდილება უნდა შეიძინოს, და მხოლოდ შემდეგ ამისა თუ ელირსება შტატის ადგილის მიღებას.

ასეთი არჩევისა, ეგზამენისა და კონკურენციის სისტემა ლორდმა კოლეიმ შემოიღო 1854 წ. და მას აქით დღემდის ეს პრინციპია გაბატონებული.

მართალია, ინგლისის მთავრობას მეტის მეტ კარგს პირობებში ყავს ინდოეთის ბიუროკრატია: ფართო უფლებებს ანდობს მას, ანიჭებს რთულ ინიციატივას, აძლევს დიდ პატივს. აჯილდოვებს დიდი ჯამაგირითა და პენსიით, მაგრამ ამასთანავე მოითხოვს მისგან გონებისა და ზნეობის მაღალ განვითარებასა და ფიზიკურ სიმთლეს; მას უნდა ქონდეს კარგი მეხსიერება, გამჭრიახი დაკვირვება, ნიჭი ენების შეთვისებისა; უნდა შეეგუოს უცხო ქვეყნის ჩვეულებასა და კანონებს.

ინგლისის მთავრობა მარტო ეგზამენის სისტემასაც ვერ დაენდო; რადგანაც წერილობითი და სიტყვიერი ეგზამენით ვერ გამოირკვეოდა, ქონდა თუ არა კანდიდატს ის იშვიათი თვისებანი, რომელნიც ისაჭიროესი იყვენ საინდოეთო მოხელისათვის.

ამიტომ მთავრობამ დანიშნა მუდმივი კომისია ინდოეთში ნამსახური გამოცდილი, კეთილგონიერი და კეთილზნეობიანი მოხელეებისაგან, რომელთაც დავალებული ქონდათ, რათა შეედგინათ პროგრამები და კონკურსები.

ასეთი სისტემის მიზანია,—ზედ მიწევნით გაიცნოს მთავრობამ ინდოეთში გასაგზავნი კანდიდატი.

კონკურსი სამი პერიოდისაგან შესდგება: მისაღები ეგზამენი, გამოცდა ანუ ვარჯიში, რომელიც ორს წელიწადს გძელდება, და გასათავებელი ეგზამენი სპეციალური საგნებით, რომელიც ვარჯიშობის დროს უნდა შეითვისოს კანდიდატმა.

აიღებს თუ არა მისაღებ ეგზამენს კანდიდატი, კომისიის წევრები განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებენ მისს ზნეობითს, გონებითსა და ფიზიკურს მდგომარეობასა და განვითარებას.

ამას გარდა კანდიდატს მოეთხოვება სპარსულისა და იმ პროვინციის ენის ზედ მიწევნით ცოდნა, სადაც მან უნდა იმსახუროს.

ჩვენში კი, კარგათ მოგეხსენებათ, არათუ ადმინისტრატორებს არა სთხოვენ ხალხის ენის ცოდნას, საერო შკოლების გამგე—მასწავლებლები და ხალხის მსაჯულებიც არ საჭიროებენ ქართული ენის ცოდნას.

ეს ფრჩხილებში ნათქვამათ ვიანგარიშოთ და ისევე საგანს დავუბრუნდეთ.

ზემოხსენებული თეორიული ვარჯიშობით ინგლისის უმაღლესი მთავრობა არ კმაყოფილდება. კანდიდატისაგან უფრო მეტს ფხოულობს..

მივა თუ არა ინდოეთში ასე თეორიულათ გაწვრთნილი კანდიდატი, იგი უნდა შეუდგეს პრაკტიკულ მომზადებას:

დაინიშნება მაღალი ხარისხის თანამდებობის კაცთან შტატ-გარეშე მოხელეთ.

შტატგარეშე მოხელე ჯერ არ ითვლება კანონით დამტკიცებულ მოსამსახურეთა შორის, არც არავითარი მინდობილება და უფლება აქვს დავალებული. იგი მხოლოდ ენისა და კანონების შესწავლაში ვარჯიშობს, ქვეყნის გეოგრაფიასა და ისტორიის ეცნობა, უკვარდება საქმეთა წარმოებას, ადმინისტრატიულს განკარგულებას; იძენს თანდათანობით ადმინისტრატიული ფუნქციების მნიშვნელობას.

აი, მხოლოდ ასეთ მომზადებას შემდეგ კანდიდატი მიიღებს შტატის ადგილს და შეიქნება სრულუფლებიანი შტატის მოხელეთ.

რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი სისტემა მაღალი თუ დაბალი მოხელის განწესებისა მთავრობასაც საიმედო გარანტიას აძლევს, რომ ქვეყანა კარგი მოვლილი ეყოლება და ქვეყნის მცხოვრებიც გულდამშვიდებული იქნებიან, რომ ასე გაწვრთნილი მოხელე, თუ მთლად მხეცის სული არ უდგას, ღირსეულათ შეასრულებს თავისს წმინდა მოვალეობას და თვის ადმინისტრატიულ უფლებასა და მინდობილებას ქვეყნის სასიკეთოდ მიმართავს.

სწორეთ ასეთი სისტემის წყალობაა, რომ ინდოეთში მცხოვრებ 250,000 ინგლისელს 300 მილიონი ინდოელი აქამომდი კეთილგანწყობილათ ყავს და მათ შორის გამწვავების ბოლი იშვიათად ავარდნილა და უკმაყოფილების ნიშნები დღესაც არა ჩანს.

დიდი რუსეთის მთლიანობას არ აწყენდა, და ჩვენც ძლიერ მოგვიხდებოდა, რომ რუსეთის უმაღლესი მთავრობა ინგლისის მაგალითს აყვებოდეს სამოხელეო კანდიდატების წრთვნისა და დანიშვნის საქმეში.

მეგობარი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

ამ დღეებში დასრულდა დონისროსტოვის წარმომადგენელთა მრეწველთა საჰალლერი, რომელმაც აკრძალა სიტყვა „ილლირიის“ ხმარებაც კი, რადგან ხორვატიის დემოკრატიას უნდოდა „ილლირია“ ეწოდებია შეერთებული ხორვატიისა და მეზობელი ქვეყნებისათვის. ჰალლერმა მიმართა სასტიკ ცენზურასა და ყოველგვარ დევნას. მადიარები კი თავისი მხრით ამტკიცებდენ, ვითომ ხორვატია ოდესმე დაპყრობილი ყოფილიყოს უნგრეთის მიერ.

მაგრამ ეროვნულმა იდეამ გაიმარჯვა და ხორვატიის ლანდტაგმა წარუდგინა იმპერატორს მთელი რიგი მოთხოვნილებათა (1845 წ.), სხვათა შორის, რომ დაარსებულიყო ხორვატული უნივერსიტეტი, სავალდებულო ყოფილიყო ხორვატული ენა აკადემიასა და გიმნაზიებში, რომ იმპერატორის მოადგილეობა და საბჭო, რომელნიც იყვნენ ზაგრებში (ხორვატიის დედა ქალაქში) 1767—1779 წლებში, ისევ იქვე დაწესებულიყო და ბოლოს იმპერატორის კანცელარიასთან უნგრეთის სატახტო ქალაქში (ბუდაპეშტში) ყოფილიყო განსაკუთრებული განყოფილება ხორვატიისათვის.

ამის გამო 1846 წელს ზაგრების აკადემიაში დააარსეს ხორვატული ენის კათედრა, მაგრამ ლანდტაგი არ დასჯერდა ამას და 1847 წელს დაადგინა შემოღებულიყო ხორვატული ენა ყველა ოფიციალურ დაწესებულებასა და შკოლებში.

იმავე დროს უნგრეთის საერთო პარლამენტმა ლიუდვიგ კოშუტის გავლენით დაადგინა: სახელმწიფო ენათ ხორვატიისა და სლავონიისათვის უნდა იყოს მადიარული. და კოშუტმა განაცხადა, ხორვატთა ერი არც კ. არისო.

1848 წლის რევოლუციონური მოძრაობა რომ დაიწყო, იმპერატორმა ხორვატული სახალხო პარტიის გავლენით დანიშნა ხორვატიის ბანათ ეროვნული მოძრაობის ერთი მეთაურთაგანი იოსებ ელაჩიჩი. ამ პარტიის პროგრამა იყო: შეერთება ხორვატიის ყველა ნაწილისა, ხორვატული ენის უფლების უზრუნველყოფა შკოლაში, ეკლესიასა და სახელმწიფო სამსახურში, გლეხთა გათავისუფლება და ხორვატთა საკუთარი ჯარი, არჩეული მთავარსარდლით. ელაჩიჩი იცავდა ამ პროგრამას. მან უარყო უნგრეთის სამინისტროს განკარგულება მადიარული ენისა, დროშისა და ღერბის შემოღების შესახებ ხორვატიაში და ხელში ჩაიგდო ადმინისტრაციული უფლება.

მადიარებმა დააბეზღეს ელაჩიჩი იმპერატორთან, ავსტრიის დაპყრობა უნდა რუსების შემწეობითო, რომ შემდეგ სამხრეთელ სლავთა დამოუკიდებელი სახელმწიფო დააარსოსო. უნგრეთის სამინისტროს სურვილის თანახმათ იმპერატორმა დანიშნა თავის რწმუნებულათ ხორვატიაში გენერალი გრაბოვსკი, რომელმაც გააუქმა ელაჩიჩის განკარგულებანი, მაგრამ ვერ გადაბიჯა ხორვატიის საზღვარს, რადგან იცოდა, რომ დაიჭერდენ. ელაჩიჩი გაიწვია იმპერატორმა ინსბრუკში, სადაც იყო მისი ბინა გაქცევას შემდეგ, მაგრამ არ წავიდა.

5 ივნისს ხორვატიის ლანდტაგმა მოსთხოვა იმპერატორს, რომ მიენიჭებია ელაჩიჩისათვის „ბანის“ თანამდებობას გარდა კიდევ მთავარსარდლობა ხორვატიის ჯარისა და აეკრძალა მადიართათვის ჩარევა ხორვატთა შინაურ საქმეებში, ლანდტაგმა გამოსთქვა ამასთანავე სურვილი, რომ ავსტრო-უნგრეთი გარდაქმნილიყო სახელმწიფოთა კავშირათ შვეიცარიის მზგავსათ. ხორვატიაში კი უნდა შესულიყო ქვეყნები მდინარე დრავიდან ადრიატიკის ზღვამდი.

10 ივნისს 1848 წ. მეფემ გადააყენა ელაჩიჩი და ჩამოართვა სამხედრო ხარისხის ნიშნები. ლანდტაგმა კი მიანიჭა მას დიკტატორის უფლება. დიდი ფული შეკრიბეს მოსალოდნელი ეროვნული ომისათვის. მადიარები კი უკვე შესეოდენ სლავონიას. ელაჩიჩმა წარუდგინა უნგრეთის მთავრობას შემდეგი მოთხოვნილებანი: სამხედრო, ფანანსთა და საგარეო სამინისტრონი უნდა ყოფილიყო საერთო მთელი მონარქიისათვის, ხორვატებს უნდა ქონოდათ ნება, ელაპარაკათ ხორვატულ ენაზე უნგრეთის საერთო პარლამენტში და სხ. მადიარებმა უარი შემოუთვალეს.

ამასობაში უნგრეთის სამინისტრო გადადგა. ბუდაპეშტში მოკლეს მეფის კომისარი გრაფ ლამბერგი. სახელმწიფოს მთლიანობისთვის უფრო საშიშარი იყვენ მადიარები, ვიდრე ხორვატები. მეფემ თავის სასარგებლოთ გამოიყენა უთანხმოება ხორვატთა და მადიართა შორის და მიუსია ხორვატები მადიარებს. და გადაყენებულ ელაჩიჩს კვლავ დაუბრუნა ხარისხი და უბოძა თავის რწმუნებულობა და უნგრეთის ჯარების მთავარსარდლის ხარისხი.

12 სეკტემბერს, ვიდრე მეფის კომისარს ლამბერგს მოკლავდენ, კოშუტმა გამოაცხადა თავი დიკტატორათ. ლამბერგის მოკვლა კი ნიშანი იყო აჯანყებისა. გამარჯვება პირველათ ხან იმპერატორის მხარეზე იყო, ხან მადიარების მხარეზე. 7 ნოემბერს იმპერატორმა ფერდინანდმა გამოსცა მანიფესტი კოშუტის წინააღმდეგ. 2 დეკემბერს 1848 წ. ავი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

2) ავსტრო-უნგრეთი.

ხორვატია და სლავონია.

ხორვატიასა და სლავონიაში იყო 1900 წელს 2.416.304 მცხოვრები, მათ შორის ხორვატი 1.487.173, სერბი 614.444, გერმანელი 136.121, მადიარი 90.000, სლოვენი 90.000. სერბნი და ხორვატები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ სარწმუნოებით: ხორვატები კათოლიკენი არიან, სერბნი კი მართლმადიდებელნი. ენა ერთი აქვთ.

მეთვრამეტე საუკუნის შუამდი ხორვატია თათქმის დამოუკიდებელი იყო და მხოლოდ საერთო დინასტიით იყო შეერთებული უნგრეთთან. მხოლოდ მარია ტერეზიას დროს შეიცვალა ეს დამოკიდებულება. და 1779 წელს ხორვატია გარდაიქმნა უნგრეთის პროვინციათ.

ამ მოვლენას შინაგანი ღრმა მიზეზიც ქონდა. თავადაზნაურობას შეეშინდა გლეხთა მოძრაობისა და ამიტომ დაუმორჩილა სამშობლო უნგრეთის მთავრობას. 1790 წელს ხორვატიის არისტოკრატიულმა ლანდტაგმა თვითონ აღიარა და დაადასტურა ხორვატიის ავტონომიის გაუქმება და დამოკიდებულება პრესბურგის მოადგილისაგან. და, ასე გაშინჯეთ, ადგილობრივი ბიუჯეტის განაწილებაზეც კი აიღო ხელი.

1784 წელს იოსებ მეორის ბძანებით ლათინური ენის ადგილი დაიჭირა გერმანულმა ყველა ოფიციალურ დაწესებულებაში, როგორც უნგრეთში, აგრეთვე ხორვატიაში. ამ პოლიტიკამ დიდი მოძრაობა დაბადა, მაგრამ ხორვატიის ლანდტაგი ხორვატული ენის უფლებას კი არ იცავდა, ლათინური ენის დაბრუნებას თხოულობდა, რადგან ხორვატთა არისტოკრატიას არ აინტერესებდა ხალხის საჭიროება და მოთხოვნილება.

სხვაგვარათ მოქმედებდა უნგრეთის ლანდტაგი. ის დასთანხმდა ლათინურის გაუქმებას, მაგრამ დაადგინა მაგიერათ მადიარული ენის შემოღება არა მარტო უნგრეთში, არამედ ხორვატიაშიც. 1827 წელს თვით ხორვატიის ლანდტაგმა აღიარა სავალდებულოთ მადიარულ ენაზე სწავლება ყველა შკოლაში და 1834 წლიდან მადიარული ენა შეიქნა სახელმწიფო ენათ ხორვატიაში.

ერთი სიტყვით ხორვატიის თავადაზნაურობამ მოღალატის როლი აასრულა.

მაგრამ ეროვნულმა მოძრაობამ მაღლა აქაც გაიკვლია გზა. პირველათ დაიწყო ეროვნულ-კულტურული, ნუ უკეთესთქვათ, ლიტერატურული მოძრაობა, რომელმაც მიიღო შემდეგ პოლიტიკური ხასიათი. და ბოლოს საერთო მოთხოვნილებათ შეიქნა, რომ ხორვატიას ყოლოდა საკუთარი მოადგილე და ამ ქვეყანას შეერთებოდა დალმაცია, ბოსნია, გერცეგოვინა და სლოვენთა მიწები.

ამგვარი იყო მათი მაშინდელი ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამა.

მადიარები ცდილობდენ შეეშალათ ხელი ამ მოძრაობისათვის და ააგულიანეს ხორვატთა აზნაურობა, რომელმაც დააარსა პარტია ანტიხორვატული, ანუ „მადიარონთა“, ე. ი. მადიარების მომხრეთა. მათი მეცადინეობით იმპერატორმა ფერდინანდმა 1842 წელს დანიშნა ხორვატიის ბანათ, ე. ი. უფროსათ, მადიარი

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ.

ალბანელებს განზრახვა აქვთ ალბანეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადონ.

— ცნობაა—ოკტომბრისტთა ფრაქციიდან შუბინსკი და სხვა სამი დეპუტატი გადისო.

— გაზეთი „რეჩი“ სინოდის ობერ-პროკურორის საბლერის სამსახურიდან გასვლის ცნობას უარყოფს.

— შანხაიში პეკინის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულობა ამოაჩინეს.

— პეტერბურგში საგარეო საგაერო ბანკში 100 ათასი მანეთი გაფლანგეს.

— კიევის ქალაქის საბჭოს ფონდებში ხუთი მილიონი მანეთი ისესხა.

— კირგიზში შავი ჭირით 153 კაცი გახდა ავათ, 93 მოკვდა.

— გენერალ სავოვს ფრაკიაში დიდი ამბებით ხვდებიან.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ.

✦ დახმარება მოუსავლობისაგან დაზარალებულთ. 12 ნოემბერს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება მოხდა, რომელმაც მოისმინა სასტატისტიკო ბიუროსი და მესაქონლობის სექციის მოხსენებანი. მოხსენებებში აღნიშნული იყო, რომ ამერკავკასიის რამდენიმე რაიონს წელს დიდი უბედურება დაატყდა თავს მოუსავლობისაგან და საჭიროა დამშეულ მხარეთა დაუყოვნებლივი ნივთიერი დახმარება. საბჭომ მიიღო მხედველობაში, რომ ეს საკითხი მეტათ სერიოზულია და დაადგინა, მის განსახილველათ 19 ნოემბერს საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება მოიწვიოს. საბჭომ ამასთანავე შეიმუშავა ზოგიერთი წინასწარი ღონისძიება დამშეულთა დასახმარებლათ: 1) აღსძრას შვამდგომლობა, რათა რკინის გზის ტარიფი შეამცირონ ჩრდილოეთ კავკასიიდან (სადაც კარგი მოსავალი უყო) შემოტანილ ქატოზე, 2) აღიძრას მთავრობის წინაშე შვამდგომლობა, რათა ფული გადასდვას საქონლის საცდელ კვების მოსაწყობათ და 3) ეთხოვოს საათანადო დაწესებულებებს, რათა ხაზინის საზამთრო საძოვრებითა და ტყეებით უფასოთ სარგებლობის ნება დართონ დამშეულ მხარეთა მცხოვრებს.

✦ კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე მონაწილეობის მიღების სურვილი გუშინდლამდი 158 კაცმა განაცხადა. კრებაზე, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ: სატეხნიკო-საალმშენებლო ამხანაგობა „ინჟინერი“. თფ. მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისი ვ. ი. არაქელიანცი, განჯის ქალაქის აქიმი ალაევი, კავკასიის ქალაქის მოურავი გ. ვ. ბაევი, მისი მოადგილე ნ. ა. პოლიანსკი, ბაქოს ქალაქის ხმოსანი გ. ბ. ტერ-მიქელიანცი და იქაური ქალაქის გამგეობის წარმომადგენელნი, თფ. ვაჭართა მამასახლისი ა. ნ. მილოვი, კავკასიის სამკურნალო საზოგადოებ ს თავჯდომარე მ. ვ. ლუნკევიჩი და ამავე საზოგადოების წევრნი ნ. ი. ნეუიმინი და ა. ა. ნოვიცკი.

ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

დ. სამტრედია. 10 ნოემბერს დანიშნული კრება სამტრედიის სამზითვო კასისა, წევრების უმრავლესი რიცხვის დაუსწრებლობის გამო გადაიდვა 24 ნოემბრისთვის.

10 ნოემბერს სამტრედიის რკინის გზის თეატრში წარმოადგინეს „დამარცხებულნი“ ირეთელისა. მონაწილეობას ღებულობდენ კობახიძე და ადგილობრივი სცენის მოყვარენი. კარგათ თამაშობდენ. კობახიძე—(ნიკო), ხელაია (მოსამსახურე) და ლაზაროვი (ვანო). incertus.

დ. ხარაგოული. 21 ნოემბერს, დღით ხუთშაბათს, დილის ათ საათზე ს. ს. კ. გ. საზოგადოების წიგნ-საკავ სამკითხველოს წევრთა არაჩვეულებრივი კრებაა დანიშნული, რისთვისაც გამგეობა სთხოვს ყველას აუცილებლათ დაესწროს კრებას. კრებაზე განსახილველია, სხვათა შორის, სამკითხველოს გადატანა უფრო მოხერხებულ ადგილზე.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲗᲐᲗᲣᲠᲝ.

საღამოს სხდომა.

საღამოს სხდომას რომანიკო თავჯდომარეობს. მსჯელობენ სიფხიზლის საზოგადოებისთვის პეტერბურგში მიწის დათმობის შესახებ. შინგარევს მინისტრის ამხანაგის ნოვიცკის განმარტება არ აკმაყოფილებს. სიფხიზლის სამზრუნველოს მიწა უვადო იჯარით მისცეს და არა მისთვის საკუთრებათ. სამზრუნველომ თანდათანობით დაარღვია წესი. ახლა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ ორი გზაა. სასამართლომ უნდა აღიაროს, რომ ქალაქის მიწა კანონიერი გზით იყო დაგირავებული, მაშინ ქალაქი კარგავს თავის მიწას. და, თუ სასამართლო აღიარებს, რომ უკანონოთ იყო დაგირავებული, მაშინ ბანკი ზარალობს. შინგარევი აქვეყნებს ფორ-

მულას, რომლის წაკითხვის დროსაც ტაშს უკრავენ.

ფინანსის მინისტრის ამხანაგი ნოვიცკი აქვეყნებს უმაღლეს ბძანებას სამზრუნველოსთვის ალექსანდრეს პარკში მიწის დათმობის შესახებ. ნოვიცკი ეხება შინგარევის სიტყვას და ამტკიცებს, რომ მიწის მიცემა სამზრუნველოსთვის კანონიერი გზით მოხდაო. ნოვიცკის პასუხს აძლევს შინგარევი. შინგარევის ფორმულას, 175 ხმით წინააღმდეგ 91-საა ღებულობენ.

სახელმწიფო საბჭო.

13 ნოემბრის სხდომა.

გოდუბევი თავჯოდმარეობს. უნდა განიხილონ პოლონეთის ქალაქებში საქალაქო თვითმართველობის შემოღების კანონპროეკტი. საბჭოს თავჯდომარის ავათმყოფობის გამო ამ პროეკტის განხილვა სხვა დროისთვის გადასდვეს. საბჭო იხილავს სავაჭრო-სამრეწველოს, დამზღვევისა და საკრედიტო დაწესებულებათა განცხადების შესახებ კანონპროეკტს. ამ დაწესებულების განცხადების გამოშვება კანონპროეკტის ძალით საველდებულოთ ეთვლება. **შებეკო** ამბობს:—საკანონმდებლო წინადადებათა კომისიაში გამოითქვა სურვილი, რომ სავაჭრო-სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებათ საველდებულოთ გაუხადონ ადგილობრივი გუბერნიის უწყებაში ანგარიშის გამოქვეყნება. თუ ადგილობრივათ ასეთი უწყება არ არის, მაშინ განცხადების მოთავსება მოსკოვისა და პეტერბურგის საგუბერნიო უწყებაში და ან „მთავრობის უწყებაში“ შეუძლიათო. საბჭოს თავჯდომარე მინისტრთა საყურადღებოთ ამბობს:—მთავრობას განზრახვა ქონდა ეს ანგარიში ხსენებულ ორგანოებს გარდა ფინანსის მინისტრის გამოცემაში დასტამბულიყო. გარდა ორი ოფიციალური გამოცემისა არსებობს კიდევ განსაკუთრებული ოფიციალური ორგანოები, რომელშიც ისტამბება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა სავალდებულო განცხადება. ოთხი წლის წინათ დაარსდა „მთავრობის უწყება“. აუცილებელი საჭიროებაა, რომ ყველა განცხადება ერთ ორგანოში ისტამბებოდეს. ცხადია, სავალდებულოთ თუ არ გავხდით, ამ ორგანოში ბევრი დაწესებულება არ დასტამბავს. სახელმწიფო საბჭოს წინანდელი შედგენილობა ყოველთვის წინააღმდეგი იყო, რომ ფინანსის მინისტრის ორგანოს ხაზინიდან დახმარება მისცემოდა. ეს ორგანო უკვე ათი წელიწადია არსებობს დაუხმარებლათ. **ავდაკოვი** აღნიშნავს საჭიროებას, რომ ყველა განცხადება ფინანსის მინისტრის ორგანოში ისტამბებოდეს. ფინანსის მინისტრის გამოცემა ვაჭ.-მრეწ. კლასის მოთხოვნილებას კარგათ აკმაყოფილებსო. ვაჭ.-მრეწველთა კლასისათვის ხსენებული ორგანო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მის სარგებლიანობის უარყოფა შეუძლებელია. პეტერბურგისა და მოსკოვის უწყებებმა მოსჭამეს თავისი დრო. ნაკლებათ გავრცელებულ ორგანოებში განცხადების დასტამბვა სასურველათ არავის მიაჩნია. სავალდებულოთ უნდა გავხადოთ განცხადების დასტამბვა ფინანსის მინისტრის ორგანოში და გუბერნიის უწყებებში. მსჯელობა ამ საგანზე დასრულდა. პროეკტის მეორე მუხლს, მანუხინისა და ვიშინსკის შესწორებით, ღებულობენ. ამ შესწორების ძალით საველდებულო განცხადება უნდა დაისტამბოს „მთავრობის უწყებაში“ და ერთერთს დროულ გამოცემაში. გამოცემა ან ფინანსისა და ან ვაჭრობა მრეწველობის უნდა იყოს. პროეკტის დანარჩენ მუხლებს კომისიის რედაქციით ღებულობენ. მიიღეს ავრეთვე ეშნიშვნელო შესწორება შებეკოს კრესტოვნიკისა და ლიტმარის. კანონპროეკტი შემოანხმებელ კომისიას გადაეცა. შემდეგი სხდომა 20 ნოემბერს.

დეპეშები.

(ჰეტ. დეპ. სააგ).

რუსეთი.

პეტერბურგი. ცნობის შემკრები ბიუროიუწყება, ხმა იმის შესახებ, რომ სოფლის მასწავლებელთა საპენსიო კასაში რევიზიას ბოროტ-მოქმედება ამოეჩინოს, ტყუილია. უკანასკნელ დროს ხსენებულ კასაში ასეთი რევიზია არ მოუხდენიათ. მხოლოდ სახალხო განათლების საჭოს 13 სექტემბერს დაადგინა არჩეული ყოფილიყო კომისია საპენსიო კასის სარევიზიოთ.

ურალსკი. 12 ნოემბერს შავი ჭირით ავათ გახდა 12 კაცი. გადაიცვალა ათი.

მინსკი. ქსენძი მალაშევსკი მართმადიდებელთა ჯვრის შეურაცხყოფისათვის დაპატიმრებული ციხიდან გაათავისუფლეს ათი ათასი მანეთის საწინდრის შეტანას შემდეგ.

უცხოეთი.

ლონდონი ასტრონომი ბოლი გადაიცვალა.

გენა. უკრაინელებთან და პოლონელებთან მოლაპარაკება არ დასრულებულა. უკრაინელებმა გადასწყიტეს—დეპუტატთა პალატაში აბსტრუქცია მოახდინონ. აბსტრუქციას ავსტრიის შინაურ პოლიტიკაზე მსჯელობის დროს მოახდენენ. დელეგაციაში მომხსენებელმა ბაკეგემა აღნიშნა, რომ მონარქია მშვიდობიანობის მომხრეა. ბალკანეთის კრიზისის დროს მონარქიის არ ქონია სურვილი ტერიტორიის შეძენისაო. ნემეცი რადიკალი ველვარი მონარქიის პოლიტიკაში გონიერებას ვერ ხედავს. მისი აზრით ბალკანეთის კრიზისმა დიდი ზარალი მისცა მონარქიას. ორატორი აცხადებს:—ნდობას ვერ გამოუცხადებ ბერხტოლდსო. კრამორი მთავრობის პოლიტიკას სასტიკათ აკრიტიკებს. ის ამბობს:-მთავრობამ მიაწია მიზანს და სერბიელები ალბანეთში არ შეუშვა. სამაგიეროთ სერბიელები იქ დაემკვიდრენ, სადაც ავსტრიას ბულგარლები უნდოდა დაენახა. ავსტრია ცდილობს ალბანეთი მოამზადოს.

შუდენი. პეკინში არეულობისა და ნაკაონალისტების დარბევის გამო, მანჯურიაში სამხედრო წესები გამოცხადდა. დუდუს თანამდებობა გააუქმეს. დააწესეს სამოქალაქო საქმეთა უფროსის თანამდებობა.

ტოკიო. იაპონიის პეტერბურგელმა ელჩმა იაპონია-რუსეთის საზოგადოების კრებაზე სიტყვა სთქვა და რუსეთ-იაპონიას შორის პოლიტიკურ საკითხებში განსხვავება აღნიშნა.

წერილი გურიიდან.

როცა ავათმყოფი გრძნობს სიკვდილის მოახლოებას, მაშინ ის ყოველივე საშვალებას ხმარობს სიცოცხლის შესანარჩუნებლათ. და თუ სულმდაბალი კაცი გამოდგა, მაშინ მზათ არის—ყოველივე პატიოსნება უარყოს, სინიდისი ფეხქვეშ გათელოს, მთელი კაცობრიობა ჯვარს აცვას, ოღონდ სიცოცხლე შეინარჩუნოს.

ჩვენი ავათმყოფი ესდეკებიც გრძნობენ სიკვდილის მოახლოებას და თავგანწირული იბძვიან. ისე დახურდავდენ, რო მზათ არიან ყოველივე საზიზღრობა ჩაიდინონ და იდეური მოწინააღმდეგენი ჯვარს აცვან. ვეღარ ინელებენ დეპუტატი გელოვანის ოზურგეთში ჩამოსვლას; დაკრეს დაფსა და ნაღარას, გაბერეს სიცრუის ტიკჭორა და ფეტებს თვისი ლექსიკონის სიტყვებით უმასპინძლდებიან. ამით სურთ გურიის გლეხ-კაცობაში სახელი გაუტეხონ, თავისი წამხდარი სხეული დაფარონ და ფონს გავიდენ.

ერთი მეტიკჭორეთანგანი, ბ. „მორიელი“ ისე აღელვებულა, რომ „ფიქრის“ პირველ ნუმერში ხულიგანების დამცველსაც კი უწოდებს ს.-ფ.-ბს. სტყუვდები „მორიელო“,—გურიის გლეხობა ისე ადვილი მოსატყუებელი აღარ გახლავს, როგორც თქვენ გგონიათ. წავიდა ის ხანა, როცა დემაგოგობით ხალხს ატყუებდით. ნ. თ—შვილი თქვენთვის დაგვილოცია. მიუმატეთ იმ თქვენი ამხანაგების ბანაკს, რომელნიც ბლომათა-არიან თქვენს პოლკში. 1905 წელს თქვენგან გამოცხადებული ჯაშუშები, დღეს თქვენი ამხანაგები არიან. ერთმა თქვენმა ამხანაგმა ისეთი საზიზღარი საქმე ჩაიდინა, რომ ყველას სალაპარაკოთ აქვს და დღეს თქვენთან მოლვაწეობს. რამდენი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო მაგრამ რა?

პურიშკევიჩის ამხანაგობა თქვენ უფრო შეგფერისთ.

დიდი მზგავსებაა თქვენსა და მის შორის. ჩვენი ენა, ქართველი ხალხი, ჩვენი სამშობლო და წარსული ისტორია მასაც ისე ეჯავრება, როგორც თქვენ. ჩვენი გლეხ-კაცობის დაბეჩავებას, გაბოგანებასა და ტერიტორიის დაკარგვას ისიც ისე სიხარულით მოელის, როგორც თქვენ. უშვერი სიტყვებით ლანძღვა, ცილისწამება მასაც ისე უყვარს, როგორც თქვენ. მაშ რა განსხვავებაა თქვენსა და მის შორის? არაფერი! მარტო ცარიელი ფრაზები და ჭორიკანობა ხალხს არ აკმაყოფილებს. თუ შეგიძლია, ბ. „მორიელო„, საგანზე სწერე საკითხი გამოარკვიე და დედაბრულ ლანძღვა-გინებას თავი დაანებე. ჩვენი გლეხობა კარგათ ხედავს ამას, და შეგნებულმა ნაწილმა კიდეც ზურგი გიჩვენათ. ეს არის სწორეთ, თქვენ რომ გულს გიკლავსთ და ნაჯიქვლ დათვივით იკბინებით,

„წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო“ სწორეთ თქვენზეა ნათქვამი.

—კაი.

სახალხო უკოლეგის გაროემო

3

პასუხი დავით მდივანის პასუხზე.

(იხ. „იმერეთი“ 175-ე №).

ბ-ნო დავით! როცა მე „იმერეთი“-ს 157 №-ში ბ-ნ სამონ მჭედლიძეს შეკითხვას ვაძლევდი, ჩემი უმთავრესი მიზანი იყო—საშვალება და მიზეზი მიმეცა მისთვის—ემართლებია თავი იმ ეჭვებისგან, რომელიც ამ წასულ ზაფხულზე ქუთაისში გამართულ მასწავლებელთა კურსებზე მის მიერ მიცემულმა გაკვეთილმა გამოიწვია საზოგადოებაში. იმანაც, რასაკვირველია, რამდენათაც შეეძლო თავი იმართლა (იხ. „იმერეთი“ 100 №), რაზეც მე, როგორც წინა წერილშიც აღვნიშნე, სრულიად არ ვფიქრობდი პასუხის გაცემას, მაგრამ ჩემი კეთილი განზრახვა ბ-ნმა მჭ—ძემ თურმე ბოროტათ მიიღო და რაღაც ტენდენციოზობა დამსწამა,—ჩემი შეკითხვის „სრული უსაფუძვლობა“ მიყიჟინა და კიდეც შეეცადა დაემტკიცებია, რომ ჩემ შეკითხვისათვის არავითარი საბუთი არ მქონდა, რის გამოც ტატორიკოთ მოიხსენია ჩემგან—ბოდიში მოგეხადა—მის წინაშე. აი, ამიტომ [illegible] ლის წინააღმდეგ მისთვის პასუხი გამეცა, რაც ავასრულე კიდეც და გამოვაქვეყნე ყველა ის საბუთი, რომლის ძალითაცა და მიხედვით სრული უფლება მეძლეოდა მიმეცა მისთვის ხსენებული შეკითხვა. (იხ. ჩემი „პასუხი სიმონ მჭედლიძის პასუხზე“ „იმერეთი“ 105 №) და არათუ მეგონა,—სრული დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ამით ყველაფერი დასრულდებოდა, მაგრამ თქვენ მაინც არა სცხრებით და იმეორებთ ისევ იმას, რაც ბ-მა მჭედლიძემაც სთქვა და, რაზეც, კარგა ხანია, პასუხი გავეცი. ახლა მეც სხვა რაღა დამრჩენია, გარდა ისევ იმ მჭედლიძესადმი ჩემს პასუხზე მითითებისა?.. გულახდილათ უნდა მოგახსენოთ, რომ არც თქვენს უკანასკნელ წერილზე მინდოდა დაწვრილებითი პასუხის გაცემა, მაგრამ წყეულმა ეჭვმა არ მომასვენა, გულმა არ მომითმინა, რომ აქა-იქ ზოგიერთ ადგილს მაინც გაკვრით არ შევეხო და არ აღვნიშნო მასში თქვენი მოქმედების ტენდენციოზობის მაჩვენებელი ნიმუშები...

პირველ განყოფილებაში მიცემული გაკვეთილის გარჩევის დროს თქვენ და ძმანნი თქვენნი მაგრათ ჩაფრენიხართ და წამდაუწუმ საბუთად წამოაყენებთ გოგებაშვილის მეთოდიურ სახელმძღვანელოში მოყვანილს შემდეგ აზრს: „При веденіи лексическихъ уроковъ строго слѣдуетъ избѣгать одной ошибки, въ которую падаютъ многіе учителя: они сначала называютъ предметъ на грузынскомъ языкѣ, а потомъ на русскомъ, т. е. учатъ при помощи перевода съ родного языка на государственный.«

გვესმის! მაგრამ ამას ხო მარტო პირველ განყოფილებაში რუსული ენის ლექსიკური გაკვეთილების შესახებ ამბობს და, საკვირველია, რისთვის ასეთივე რიხით არ მოგყავთ სახელმძღვანელო საბუთად იმავე ავტორიტეტის მეორე აზრი, რომელსაც იგი იქვე, იმავ გვერდზე ზემოთ მოყვანილი აზრის განმარტებისა და განსაზღვრის კილოთი განაგრძობს სწავლის შემდეგი საფეხურების შესახებ: „Переводъ этотъ имѣетъ важное значеніе, обширное примѣненіе на дальнѣйшихъ ступеніяхъ обученія, когда выступаютъ области языка, объекты которыхъ недоступны зрительнымъ впечатлѣніямъ“ და სხვა... და სწორეთ მეორე და მესამე განყოფილებები უნდა ჩაითვალოს ლექსიკური გაკვეთილების მეორე „სწავლის შემდეგ საფეხურათ“, და

და ტახტზე 18 წლის ფრანც იოსები, ფერდინანდის ძმისწული. 13 დეკემბერს უნგრეთის პარლამენტმა გამოაცხადა ფრანციოსები უნგრეთის მტრათ, ზამთრის ლაშქრობა მადიართა გამარჯვებით დასრულდა. 14 აპრილს 1849 წ. კოშუტმა გამოაცხადა დებრეჩინში უნგრეთის დამოუკიდებლობა. 21 მაისს მთელი უნგრეთი გათავისუფლებული იყო (ოფენის ციხე რომ აიღეს). მაგრამ შემდეგ ავსტრიელებმა რამდენჯერმე საშინლათ დაამარცხეს აჯანყებულნი და 13 აგვისტოს მადიართა უმთავრესი ჯარი დანებდა ვილაგოშოსთან ავსტრიის მოკავშირე რუსეთის იმპერატორის ჯარს კოშუტი გაიქცა ოსმალეთში.

ამ ომში ხორვატები ეხმარებოდენ გერმანელებს და ელაჩიჩმა ხელი შეუწყო, მაშასადამე, რევოლიუციის ჩაქრობას. ამიტომ მან ისტორიაში რეაქციონერის სახელი დაიმსახურა.

უნგრეთის კონსტიტუცია გაუქმდა. ხორვატია და სლავონია ზღვის სანაპირო მიწებთან და პორტს ფიუმესთან ერთად გათავისუფლდა უნგრეთისაგან. და ამ სახელმწიფოს დალმაციაც მალე უნდა შეერთებოდა.

მაგრამ ხორვატები, „ვაის“ რომ გაეყარენ, „უის“ შეეყარენ: უნგრეთისაგან რომ გაითავისუფლეს თავი, ავსტრიას ჩაუვარდენ ხელში. გამოცხადდა ახალი კონსტიტუცია, რომელიც ერთობ დიდ უფლებას უტოვებდა იმპერატორის მთავრობას. ხალხი ვერ დაკმაყოფილა ამ კონსტიტუციამ.

იმპერატორმა დაადასტურა ხორვატიის ლანტაგის დადგენილება (1848 წ.) ხორვატულ ენაზე სწავლების შესახებ საშვალო სასწავლებლებში, და ის კონსტიტუციაც, რომელიც ელაჩიჩმა მოუპოვა ხორვატიას, დიდი ნაბიჯი იქნებოდა წინ, რომ იმპერატორს სულ არ გაეუქმებია კონსტიტუცია (31 დეკემბ. 1851) მთელი იმპერიისა.

.კონსტიტუციის გაუქმებას შემდეგ მოხელეებათ ხორვატების ნაცვლათ გერმანელები გაწესეს, უნივერსიტეტში შემოიღეს სწავლება გერმანულ ენაზე, აკრძალეს ხორვატთა დროშა და სხ. ელაჩიჩის მემკვიდრემ ბანმა კარონინიმ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

მაგრამ, როგორც ზევით ვსთქვით, 1860 წლიდან ლიბერალურმა სიომ დაბერა. ბანათ გააწესეს ეროვნული პროგრამის მომხრე შოკშევიჩი და ყველა სასწავლებელში შემოიღეს ხორვატული ენა. შოკშევიჩმა მოიწვია პოლიტიკურ მოლვაწეთა, შესანიშნავ მეცნიერთა და ლიტერატორთა კრება, რომელმაც წარუდგინა მეფეს შემდეგი მოთხოვნილებანი: აღდგენა ხორვატიის ენის უფლებისა ყველა ოფიციალურ დაწესებულებაში; 2) შეერთება ხორვატიასთან დალმაციისა, ისტრიის კულძულებისა და სამი მეზობელი ოლქისა; 3) დაწესება ვენაში განსაკუთრებული დაწესებულებისა ხორვატიისა და სლავონიის საქმეთა გამო. მეფე დასთანხმდა და გამოაცხადა ოფიციალურ ენათ ხორვატული.

დადგა 1867 წელი, რომელმაც მოუტანა უნგრეთს „დაამოუკიდებლობის კონსტიტუცია“. უნგრეთის პარლამენტმა გამოაცხადა იმავე წელს ხორვატია უნგრეთის განუყოფელ ნაწილათ. დაითხოვეს ძალით ხორვატიის ლანდტაგი, მოიწვიეს ახალი ლანდტაგი, რომელიც შესდგებოდა მადიარების მომხრეთაგან და 24 აგვის. 1868 წ. მიიღებეს ახლანდელი კონსტიტუცია.

ხორვატიას აქვს საკუთარი ავტონომიური მართებლობა და ლანდტაგი. ავტონომია თვითონ განაგებს საადმინისტრეციოს, სამოსამართლოს, ს-რწმუნოებრივს და სახალხო განათლების საქმეებს. მაგრამ ხორვატიის სახელმწიფო შემოსავალი შედის უნგრეთის საერთო ხაზინაში და აქიდან მხოლოდ 45% უბრუნდება შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

ბანი, პრეზიდენტი და უფროსი მართებლობისა, ინიშნება ავსტრიის იმპერატორის მიერ, მაგრამ უნგრეთის პირველი მინისტრის მიერ უნდა იყოს წარდგენილი დასამტკიცებლათ. რამდენათ არის შეზღუდული საბიუჯეტო უფლება ხორვატიისა და სლავონიისა, ჩანს აქიდან, რომ 1897 წელს ხორვატიაში შეკრებილი ორმოცდაშვიდ მილიონზე მეტი კრონიდან ხორვატიასვე დაუბრუნდა მხოლოდ ჩვიდმეტი მილიონი.

და ხორვატიის თითქმის ყველა ოპოზიციონურ პარტიას სწადია მოიპოვოს ის, რაც თვით იმპერატორმა დაადასტურა შოკშევიჩის დროს.

სერბნი ყველაფერში ერთად არიან ხორვატებთან და მოითხოვენ თავისთვის მხოლოდ საეკლესიო ავტონომიას.

აქიდან ჩანს, რა შემაკავშირებელი ძალა აქვს ტერიტორიას. მეოთხმოცე წლებში ხორვატები მილიონსაც არ შეადგენდენ და, თუ იმდენი ძალა ქონდათ, რომ მზათ იყვენ გამკლავებოდენ ავსტრიას და შემდეგ კი ხელი შეუწყვეს მადიართა დამარცხებას, იმიტომ, რომ ქონდათ ტერიტორია. და, რასაკვირველია, არც ახლა გაუწევდენ მათ ანგარიშს, გაბნეული რომ ყოფილიყვნენ. დღეს კი მათ აქვთ ავტონომია. ხორვატული უნივერსიტეტი, შკოლები დედაენაზე, საკუთარი თვითმართველობა, სასამართლო, ადმინისტრაცია და სხ. მართალია, ეს ავტონომია ჯერ ფრთაშეკვეცილია, მაგრამ, უეჭველია, ოდესმე მოიპოვებენ ყველაფერს, რაც აკლიათ. და კიდევ იტყვის ბ. „ნარიძე“, ორი მილიონი მცხოვრები ცოტაა ავტონომიისთვისო?! (ხორვატიაში 1900 წ. იყო სულ 2.416.304 მცხოვრები და, ცხადია, ცოტათი წინათ უფრო ნაკლები იქნებოდა).

სერბნი.

სერბთა პირველი ახალშენები გაჩნდენ უნგრეთსა, ხორვატიასა და სლავონიაში 1389 წ., როდესაც დაეცა მათი სახელმწიფო, საიდანაც ისინი გაიქცენ. 1600 წლის ახლოს მთელი სამხრეთი ნაწილი უნგრეთისა და დიდი ნაწილი ხორვატიისა და სლავონიისა დასახლებული იყო სერბთაგან, რომელნიც იფარავდენ სახელმწიფოს თურქთაგან. მაგრამ უდიდესი ტალღა, 40.000 სერბისაგან შემდგარი, 1690 წელს მოაწყდა უნგრეთის სამხრეთ-დასავლეთს და დაესახლა აქ.

სერბებმა მიიღეს საეკლესიო ავტონომია: ყავდათ თავისი არქიეპისკოპოსი, არჩეული ეროვნული კონგრესის მიერ. და ეს კონგრესი განაგებდა საერო საქმეებსაც. მათ ქონდათ შინიჭებული აგრეთვე სხვადასხვა უპირატესობა. 1746 წლამდი მათი ბატონი და პატრონი იყო ვენა.

მაგრამ შემდეგ მადიარებმა ჩაიგდეს ხელში მათი ბატონობა. ისინი კი არ სცნობდენ მათ პოლიტიკურ ერათ და მხოლოდ 1791 წ. გაუთანასწორეს თავის თავს სამოქალაქო უფლების მხრით.

ვაჭრობა კი სერბთა ხელში გადავიდა. ამიტომ მათ შესძლეს აეგარებელი შკოლისა, გიმნაზიისა, სემინარიისა, მონასტრისა და ეკლესიის დაარსება. და ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო მათი ლიტერატურის განვითარებას.

1848 წ. მოძრაობის დროს მათ მოითხოვეს მადიართაგან ავტონომია და, უარი რომ მიიღეს, შეუერთდენ ხორვატებს.

14 აპრილს შეიკრიბა კარლოვიცში ეროვნული კონგრესი, რომელმაც მოითხოვა სერბთა „სავოევოდოს“ დაარსება ეროვნული კონგრესი, ანუ პარლამენტისებური კრებული, არჩეული ხალხის მიერ, უნდა შეკრებილიყო კარლოვიცში და მის ხელში უნდა ყოფილიყო სავოევოდოს საშკოლო და საეკლესიო საქმეები. ვოევოდა, ან მართველი, უნდა ამორჩეულიყო ხორვატიის ლანდტაგის მიერ. დანარჩენ საქმეებში სერბნი ერთად იქნებოდენ ხორვატებთან, რადგან არ განსხვავდებიან მათგან ენითა და ჩამომავლობით.

და, ბ. „ნარიძე“ რომ ბძანებს, ვითომ სერბთა და ხორვატთა შორის განხეთქილება სუფევდეს, არ არის მართალი. 15 დეკემბერს 1848 წ. თვითონ ხორვატიის ბანმა იოსებ ელაჩიჩმა მოუპოვა სერბთა სავოევოდოდოს იმპერატორის დასტური.

შემდეგ, როგორც ვიცით, მათაც გამოსცადეს აბსოლიუტიზმის სუსხი, მაგრამ საერთო პოლიტიკურმა ქარიშხალმა ველარ დააშორა ერთმანეთს სერბნი და ხორვატნი. დღეს კი სლავონიისა და ხორვატიის სერბნი ხორვატებთან არიან. საკუთრად მხოლოდ-ღა საეკლესიო ორგანიზაცია აქვთ.

და სერბთა და ხორვატთა მაგალითიც ცხადათ ამტკიცებს, რომ ტერიტორია ქმნის ეროვნულ კავშირს. (იხ. პროფ. კრეკის წერილები ხსენებულ კრებულში).

ნესტარი.

(შემდეგი იქნება)

საპაბრო სახლი
ი. გოკიელის ᲝᲕ—ᲒᲘᲡ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის

ხ. ხრისტოდულიდის

(რომელიც წინათ ეძახდენ ნარეთლის) ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობამდე [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფი ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70** [illegible] ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაპროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მალლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია **ᲓᲐᲕᲘᲓ ᲔᲛᲒᲝᲛᲫᲔ** მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპოლამპეულის ᲭᲣᲠᲭᲚᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲐᲕᲔᲯᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ და ᲨᲞᲐᲚᲘᲔᲠᲘᲡ ქ. ქუთაისში.

ᲤᲘ. Ს. ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲕᲘᲡᲐ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.

მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა. პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

სწორეთ ამ საფეხურის შესაფერ მასალას წარმოადგენს ლექსი: „Грамотей“, რომელიც მესამე განყოფილების ბავშთათვის უნდა შეესწავლებია ბ-ნ მჭ—ძეს, და, რომელშიც „выступаютъ облачѣти языка, объекты которыхъ не доступны зрительнымъ впечатленіямъ... თუ კი გოგებაშვილის აზრი თქვენთვის პირველ განყოფილებაში სწავლების დროს, სადაც იგი თარგმნით მეთოდზე თითქოს უპირატესობას თვალსაჩინოთ სწავლებას ეთმობს, დაურღვეველი კანონია, რატომ ამას შემდეგ საფეხურზე, ე. ი. მეორე და მესამე განყოფილებაში სწავლების დროსაც არ გინდათ მისი აზრი ხელშეუხებელ წმიდათა წმიდათ აღიაროთ და მით იხელმძღვანელოთ?..

საზოგადოთ თქვენ ვერ მაჩვენებთ ვერსად ბ-ნ გოგებაშვილის აზრს, სადაც იგი უბრალო გაკვრით მაინც უპირატესობას უთმობდეს ან მარტო თვალსაჩინო სწავლებას თარგმნითი მეთოდის წინაშე, ან მეორეს—პირველის წინაშე, (მუნჯურ მეთოდზე ხომ ლაპარაკიც მეტია). პირიქით,—ის შიშობს, რომ ზემოთ მოყვანილი ნათქვამიდან რაიმე ცალმხრივი დასკვნა არ გამოიყვანონ ჩვენმა მუდამ სიმარტივეს ჩვეულმა მასწავლებლებმა, შეცთომაში არ შევიდენ და კიდევ უფრო დაწვრილებით განმარტავს ამ აზრს ცოტა ქვევით:

„Вообще же для успѣшнаго и быстраго обученія русскому языку требуется содѣйствіе и наглядности и родной рѣчи, смотря по свойству словъ и выраженій. Тотъ, кто въ этомъ важномъ и трудномъ дѣлѣ вдается въ исключительность и опирается либо на одинъ только переводъ, либо только на наглядность, поступаетъ столь-же неразумно, какъ неразумно поступилъ-бы хозяинъ, который, имѣя въ своемъ распоряженіи пару здоровыхъ лошадей, запрягъ бы въ тяжелый экипажъ только одну лошадь, а другую оставилъ бы въ праздности, и тѣмъ вдвое и втрое затруднилъ и замедлилъ бы пріѣздъ къ мѣсту назначенія“... და სხვა (методическое руководство Гогебашвили стр. 13). აბა, მითხარით, სად არის აქ ერთი რომელიმე მეთოდისთვის უპირატესობის მიანიჭება, გარდა მათი მნიშვნელობის სრული გათანასწორებისა... თქვენ კი, მიუხედავათ ამისა, ხსენებულ ლექსში: „грамотей“ მარტო სამი სიტყვის გადათარგმნას სთვლით საჭიროთ, ისიც კონსპეკტში, ხოლო საქმით არც ამას ახორციელებთ... ამის შესახებ თვითონ ბ-მა მჭედლიძემ გამოიჩინა იმდენი მოქალაქობრივობა, რომ თავისვე პირით აღიარა ჩემდამი საპასუხო წერილში (იხ. „იმერეთი“ № 100), რომ იგი შეცდა, როცა შეეცადა სიტყვა съ нетерпѣніемъ აეხსნა ქართული სიტყვების დაუხმარებლათ. თქვენ კი მას ბოდიშს სწმენდთ და ამტკიცებთ, რომ ის კი არ შეცდა,—ფრიად გონივრულათ, საღი პედაგოგიის მოთხოვნილების თანახმათ მოიქცაო... ხოლო მე ვამბობ, რომ ეს ფრიად დაუფიქრებელი და შემცდარი ნაბიჯი იყო, როგორც პედაგოგიურათ, ისე მეთოდიურათ, და კიდევ რითაც გინდათ, მეტადრე იმ პირობებსა და წრეში, სადაც ეს ამბავი ხდებოდა...

თქვენ ამბობთ, რომ სრულიად ეთანხმებით ბ-ნ მჭ—ძის აზრს, რომ მესამე განყ. გაკვეთილის მასალათ აღებულ ლექსში ქართულათ თარგმნას საჭიროებდა სამი სიტყვა съ нетерпѣніемъ, вдоль და далеко, ეს აზრი მჭედლიძეს კონსპეკტშიც ქონია მოხსენებული. მაგრამ, როგორც თქვენვე ამბობთ, თურმე ბ-ნმა მჭედლიძემ დაივიწყა სავსებით თვისი კონსპეკტი და „ჯერ კითხა: —„какъ иначе съ нетерпѣніемъ“? პასუხი ვერ მიიღო, მაგრამ მაინც არ დაიჯერა, არ მოეშვა და „შემდეგ რუსულ ენაზე მაგალითი მოუყვანა, და რაკი ვერც მაშინ გაიგეს მოწაფეებმა, მანაც გადაუთარგმნა ქართულათ: съ нетерпѣніемъ—მოუთმენლათო“. (თქვენი სიტყვებია უცვლელათ... ამრიგათ მსჯელობის ცალმხრივობას ბავშის ლოდიკაც კი გამოიცნობს... როგორ!—თუ კი ბ-ნმა მჭედლიძემ კონსპეკტის წერის დროს იცოდა, რომ ამ სიტყვას ქართულათ გადათარგმნა დასჭირდებოდა, რალა მაინცადამაინც გაკვეთილის დროს დაავიწყდა ეს, და თუგინდ ვსთქვათ, რომ პირველათ კიდეც დაავიწყდა, მაგრამ ნუთუ პირველი ცდის უნაყოფოთ ჩავლამ არ მოაგონა იგი, რომ კიდევ სხვა მაგალითის მოყვანით არ დაეკარგა დრო, ენერგია და მოწაფეთა ყურადღება? მე კი ვამბობ, რომ ჯერ თვით ის პირველი ცდაც ზედმეტი იყო საღი პედაგოგიის თვალსაზრისით. თუ კი ბ-ნი მჭ—ძე კონსპეკტის დაწერის დროს გრძნობდა ამ სიტყვის გადათარგმნის საჭიროებას, და, მეტადრე, როცა ეს აზრი თვით პირველივე კითხვის უნაყოფობამ დაადასტურა, მაშინ ხომ სრულიად უადგილო იყო კიდევ მაგალითების მოყვანაზე დროის კარგვა, მაგრამ სწორეთ ამასა და სხვა ასეთ გარემოებებს შევყავართ ეჭვში და გვიჩვენებს მჭ—ძის ტენდენციოზობას,—მიუხედავათ იმისა, რომ ეს ადამიანი იქნებ, მართლაც, უდანაშაულო იყოს...

დასასრულ ვამბობ, რომ მე პირადათ მჭ—ძის წინააღმდეგ არაფერი მაქვს და, დარწმუნებულიც ბძანდებოდეთ, რომ მეც თქვენზე არა ნაკლებ მაინტერესებს მისი, როგორც ქართველი - მომავალი თაობის აღმზდელის გამართლება და ასე მოულოდნელათ, შემთხვევით შერყეული ავტორიტეტის აღდგენა. ამიტომ მე პირადათ თუ გინდა ვიწამებ თქვენს აზრს და დავ ჯერებ მჭ—ძის უანგარო მოღვაწეობას ჩემთვის ეს სასიამოვნო და ნანატრი მიზანი იქნებოდა, მაგრამ რა გუთხრათ მკითხველებს,—„ვარიყულსა და კატუნიას (იხილე: „თანამედ. ქვეყ.“ № 17) „ორი“-სა („იმერეთი“ № 109) და სხვათა წერილების შესახებ, რომელნიც ჩვენზე არა ნაკლები ავტორიტეტით არიან აღჭურვილი, რა უფლება გვაქვს მოვითხოვოთ დაგვიჯერონ, მარტო ჩვენ და იმათ აზრს კი არავითარი ანგარიში არ გაუწიონ. რა განსაკუთრებულ ავტორიტეტს წარმოვადგენთ ვითომ ჩვენ და იმათ რა საბუთის ძალით გამოვუცხადოთ უნდობლობა?

ამით ვათავებ ჩემს პასუხს თქვენი წერილის ზოგიერთ მუხლზე, ხოლო დანარჩენისთვის უფრო დაწვრილებით მგითითებთ ჩემს წინანდელ წერილზე—„პასუხი ს. მჭ—ძის პასუხზე“, „იმერეთი“ № 105, სადაც ყველა ეს საკითხი თავით ბოლომდი მაქვს გარკვეული.

ია ნარიძე.

დაბა-სოფლები.

ს. ჯაშქვის საზოგადოება (ზემო რაჭა). ამ საზოგადოებაში არსებობს ჯერ-ჯერობით ერთი ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა, ამ შკოლას ახლოს ჩამოუდის მდინარე ჯეჯორი, რომლის ხიდიც 1912 წელს აპრილში წყალმა წაიღო. მას შემდეგ მოზარდი ახალგაზდობა, რომელიც ზემოხსენებულ შკოლაში დადიოდა დიდ გასაჭირსა და განსაცდელში იყო უხიდობის გამო. ამ წასულ ზაფხულზე ხიდი საჯარო ვაჭრობით გაიცა და აიღო ადგილობრივმა მცხოვრებმა, ერმილე ჯაფარიძემ, და სიმართლე უნდა მოგახსენოთ, ხიდიც ჩინებული გააკეთა. ახლა, როგორც გავიგეთ, თუმცა, ხიდი დასრულებულია, მაგრამ ბ. ჯაფარიძეს ჯერ კაპიკი ფული არ აუღია ხიდის ასაშენებელი. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ამ საზოგადოების რამდენიმე თავადსა და აზნაურს უარი განუცხადებია ხიდის ასაშენებელი ფულის გადახდაზე. თუმცა ამათ სხვაზე არა ნაკლებ ესაჭიროებათ ეს ხიდი, მაგრამ მაინც უთქვამთ, რომ ჩვენ ვალდებული არა ვართ საზოგადო საქმეში მიუდგეთ გლეხებსო. ასეთი ვალდებულობაც არ გვესმის. ნუთუ „კეთილშობილებს“ ეზარებათ კეთილშობილურ საქმეში მონაწილეობა მიიღონ და მით სამუდამოთ კეთილი საქმე დანერგონ. თავიდან კი, როდესაც ხიდის ასაშენებელი ფული გააწერეს, სიაში თავად-აზნაურობაც შედიოდა, მაგრამ ახლა კი, როდესაც გლეხობამ თავისი ხვედრი ფული მოკრიფა, თავად-აზნაურობა ყურსაც არ იბერტყს, და ამით საქმეს აბანდებს.

კვალითელი.

——

სოფ. ბოსლევი (ზემო იმერეთი). შვიდ ნოემბერს აქ ყრილობა იყო. ყრილობას დაესწრო მომრიგებელი შუამავალი თავ. ს. წერეთელი და ნადეპუტატარი სიმ. წერეთელი.

ყრილობა მოახდინეს იმის გამო, რომ „ხალხის გულშემატკივარს,“ ბ. ნადეპუტატარს რჩევა მიეცა გლეხებისთვის, ოღონდ თქვენ ხელი აიღეთ მდინარე ყვირილაზე და მე ნაცვლათ ამისა გავაკეთებიებ თქვენთვის შავიქვის მრეწველების ხარჯით ჭებს, წყაროებსა და წყაროებთან საბანაო აუზებსაცაო; მაგრამ ხალხმა ცივი უარი სტკიცა ხალხის გულშემატკივარს ნადეპუტარს და ასე უთხრა: „თქვენი არაფერი გვინდა, ოღონდ ჩვენი ყვირილა ისევ დაგვანახეთ ისეთივე, როგორც ჩვენ ის ბუნებამ მოგვცაო. იცოდეთ და გაიგეთ, რომ მისს ასე დამახინჯებას ნებას არავის მივცემთო“ და სხვ.

რადგანაც ბ. სიმეონმა გლეხებთან ვერა გააწყო, ბრაზმორეული მიუბრუნდა ბოსლევის შკოლის მასწავლებლებს, რომელნიც იქვე ხალხში იდგენ, იმ მიზნით, რომ იქნებ აქ მაინც მოვიპოო თანამოაზრენიო, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდა და ჯავრის ამოსაყრელათა და მასწავლებლების ხალხის თვალში დასამცირებლათ მიყო ხელი ლანძღვასა და ქუჩური სიტყვების ხმარებას: —„თქვენ მასწავლებლები კი არა ხულიგნები და თავისუფლების შემხუთველი ხართო,“— მიმართა მან მასწავლებლებს. ყოფილ მამა სიმეონს ეგონა—ამით დავამცირებ და ნდობას დავუკარგავ ხალხში მასწავლებლებსო, მაგრამ გლეხებმა კარგათ შეიგნეს ამ ვაჟბატონის ოინები და არც ეს ნუმერი გამოადგა ნადეპუტატარს.

არ ვიცით, ვისი მინდობილობითა და ვექილობით ეწევა ამ საქმეს ბ. სიმ. წერეთელი. თუ იგი შ. ქ. საბჭოს წარმომადგენელია, გვიკვირს, რატომ მაინცადამაინც მას მიანდვეს ეს საქმე, „ხალხის ყოფილ წარმომადგენელს“ ბევრი ისეთი საგმირო საქმე ჩაუდენია გლეხების მიმართ, რომ საჭირო იყო გლეხების მეტის ნდობითა და გავლენით აღჭურვილი კაცი აერჩიათ.

დამსწრეთაგანი.

რედაკ.-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
Ა. ᲗᲐᲑᲐᲒᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

ᲛᲔᲒᲕᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲗ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„ᲙᲚᲝ ᲧᲚᲣᲠᲣᲚᲘ“** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამუნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრასუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცსანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტ, 8000 რისლინგი, 10,000 ᲗᲘᲜᲝ, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჯშელი ჯიშის ვაზი „ᲚᲝ“-ზე დამენილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მისეილის ქუჩაზე ᲛᲗ. გოკიელის სახლში **Ვ. ᲢᲘᲔᲒᲝ.**

გ. ᲒᲝᲚᲠᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ს. ᲓᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘᲡ

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის კოშმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მაღლეევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ეუთზენიშნს „БЕМСКОЕ“
ᲠᲙᲘᲜᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

საუკეთესო ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲠᲘᲚᲘᲗ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲓᲝᲛ ᲤᲐᲡᲐᲗ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეიდის ქუჩაზე № 65

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ,

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲔᲑᲡ საშვალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურველსაც) ქართულსა ᲓᲐ რუსულ ენებს, ლიტერატურასა ᲓᲐ ისტორიას.

ᲐᲥᲕᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲠᲩᲔᲕᲐ-ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

მოსწავლენი მიიღებიან ნაშვადღევის 5—6 საათამდი, **კლიენტები**-კი—საღამოს 6—7 საათამდი. **კოთოლიკეს ქუჩა სახლი ხოჯევანოვისა, ბანა ი. თ. ცინცაძისა.**